საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12130/01
25/11/2021

12130-01-2-202111251509

შპს „შარა-გზამშენი პირველს“
მის: ქ. ხობი, სახოკიას ქ. N1
ელ. ფოსტა: sharagza@mail.ru;
esec.ecometer@gmail.com

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 ოქტომბერს წარმოდგენილი N18859 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯიჯაოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „საპროექტო ტერიტორიაზე დასაწყობებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ძველი დანადგარები, რომლებიც არ იმყოფება მუშა მდგომარეობაში და საჭიროებს შეკეთებას”. წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სავარაუდოდ მოწყობილია მანქანა-დანადგარები, ამასთან, განთავსებულია შენობა-ნაგებობა. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს დამონტაჟებულია თუ არა ზემოაღნიშნული დანადგარები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში ინერტული მასალების დამუშავების სრული ციკლი წარიმართება სველი მეთოდით. ამასთან, თავში 6.6.2 „მავნე ნივთიერებების სახეობები და ემისიის მოცულობა“ განხილულია მასალის მსხვრევისას მშრალი მეთოდით მტვრის გამოყოფის ხვედრითი კოეფიციენტი (გვ. 19). გარდა ამისა, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ნაწილში, გარემოს დამაბინძურებელ წყაროებად, აღნიშნულია სამსხვრევ დანადგარში პირველადი და მეორადი მსხვრევა (გ-2), თუმცა, ტექნოლოგიურ ციკლში არ არის წარმოდგენილი პირველადი და მეორადი მსხვრევის შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი, მათ შორის, მშრალი მეთოდით მსხვრევის საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხი, კერძოდ, დღეში განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა და გამოყენებული ავტოტრანსპორტის მახასიათებლები (ძარის ტიპი, ტვირთამწეობა);

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა, დანადგარების განთავსების მითითებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით, ხმაურის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდე იქნება შემცირებული“. დაზუსტებას საჭიროებს, საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება (შესაბამისი გაანგარიშებების მითითებით);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორას ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 275 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 262 მეტრში (ს/კ 45.12.25.068). შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე